საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030648866987120

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3431 **13 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქ. ბათუმში, ქათამაძის ჩიხში მდებარე, ფილიალის ლაბორატორიის ტერიტორიაზე გეგმავს არსებული ინსინერატორის ნაცვლად, რომლის წარმადობა შეადგენს 25 კგ/სთ-ს, ახალი, მოდერნიზებული და უფრო მაღალი წარმადობის, „PYROLYTIC" ფირმის, CP-50-A ტიპის ინსინერატორის მონტაჟს. საპროექტო ინსინერატორის წარმადობა იქნება 50-60კგ/სთ.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმიანობაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, განიხილება სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად, თუმცა ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით პროექტი გაივლის გზშ-ს პროცედურას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ „ქ. ბათუმში სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)" სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

1. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბათუმის ფილიალის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)" სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი.

2. სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD;

პატივისცემით,

№ 13045
18 08 2020
2/21CR
02

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	პაატა იმნაძე